



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 259

ქალაქი ქუთაისი 27 აპრილი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების – ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „New Net-ისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „New Net-ის“ დირექტორის 25.12.2015 წლის N15588/01 და 02.02.2016 წლის N2702/01 მომართვების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „New Net-ისათვის“ /ს/კ412690486/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების – ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა, განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის N57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის“ მიერ დადებული 22.03.2016 წლის N347 დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 1900.0 (ათასცხრაასი) ლარს.

**მუხლი 3.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „New Net-მა“ /ს/კ412690486/ სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.

**მუხლი 4.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „New Net“-მა /ს/კ412690486/ ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს, მისივე ხარჯებით სარგებლობაში გადაცემული ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციების) გათავისუფლება მათ საკუთრებაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისაგან.

**მუხლი 5.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 6.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „New Net-ისათვის“  
პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/ სარგებლობაში  
გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
ქონების – ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ნუსხა

N	მისამართი	სარგებლობაში გადასაცემი ბოძების რაოდენობა	საკადასტრო კოდის N
1	2	3	4
1	რუსთაველის გამზირი (მარჯვენა მხარე)	75	03.00.072
2	რუსთაველის გამზირი (მარცხენა მხარე)	80	03.00.075
3	ბუხაიდის ქუჩა (მარჯვენა მხარე)	10	03.00.077
4	ბუხაიდის ქუჩა (მარცხენა მხარე)	26	03.00.019
5	ბარათაშვილის ქუჩა	37	03.00.035
6	ჯავახიშვილის ქუჩა	30	03.00.042
7	გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა	28	03.00.078
8	ლადო ასათიანის ქუჩა	59	03.00.041
9	დავით აღმაშენებლის გამზირი (მარჯვენა მხარე)	40	03.00.048
10	დავით აღმაშენებლის გამზირი (მარცხენა მხარე)	80	03.00.039
11	ილ. ჭავჭავაძის გამზირი (მარჯვენა მხარე)	40	03.00.073
12	ილ. ჭავჭავაძის გამზირი (მარცხენა მხარე)	108	03.00.074
13	სხირტლაძის ქუჩა	3	03.00.012
14	შარტავას ქუჩა	9	03.00.043
15	ირაკლი აბაშიძის გამზირი (მარჯვენა მხარე)	50	03.00.047
16	ირაკლი აბაშიძის გამზირი (მარცხენა მხარე)	25	03.00.046
17	ნინოშვილის ქუჩა	70	03.00.054
18	გრიშაშვილის ქუჩა (მარჯვენა მხარე)	18	03.00.076
19	გრიშაშვილის ქუჩა (მარცხენა მხარე)	10	03.00.018
20	ცხინვალის ქუჩა	7	03.00.025
21	ბუხაიდის მე-2 მ/რ (მარჯვენა მხარე)	25	03.00.022
22	ბუხაიდის მე-2 მ/რ (მარცხენა მხარე)	18	03.00.023
23	ავტომშენებლის ქუჩა (მარჯვენა მხარე)	80	03.00.089
24	ავტომშენებლის ქუჩა (მარცხენა მხარე)	40	03.00.070
25	ახალგაზრდობის გამზირი (მარჯვენა მხარე)	40	03.00.033
26	ახალგაზრდობის გამზირი (მარცხენა მხარე)	5	03.00.034
	სულ ჯამი:	<b>1013</b>	

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი